

შპს „აგრომაქს ბიფ“ (ს/ნ 426524415)

მსს ფასს-ის მიხედვით მომზადებული

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაამავე თარიღით
დასრულებული წლისათვის

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31/12/2023	31/12/2022	31/12/2021
მოკლევადიანი აქტივები	529496	390475	57557
ფული სალაროში	0	0	0
ფული ბანკში	3340	12204	4358
დებიტორული დავალიანება	280587	187795	51435
გადახდილი ავანსები	0	0	0
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობა (შენიშვნა 3.1)	244670	190197	1123
საგადასახადო აქტივი	899	279	641
გრძელვადიანი აქტივები	3388190	2409375	2290967
ძირითადი საშუალებები (შენიშვნა 3.2)	1471617	1409441	1332667
ბიოლოგიური აქტივები	39617	39617	0
ინვესტიცია სხვა საწარმოში	1876956	960317	958300
სულ აქტივები	3917686	2799850	2348524
მოკლევადიანი ვალდებულებები	454025	39265	840416
სავაჭრო ვალდებულებები	386025	30847	12528
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	2803
მიღებული ავანსები	0	0	825085
მოკლევადიანი სესხები	68000	8000	0
საპენსიო ფონდის ვალდებულებები	0	418	0
გრძელვადიანი ვალდებულებები	980062	388413	246996
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	980062	388413	246996
სულ ვალდებულებები	1434087	427678	1087412
სულ საკუთარი კაპიტალი	2483599	2372172	1261112
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	1706927	2247183	1119904
საწესდებო კაპიტალი	776672	124989	141208
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	3917686	2799850	2348524

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

პერიოდი	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან (შენიშვნა 3.3)	320048	270591
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან (შენიშვნა 3.3)	782032	1636237
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	-212543	-127088
საერთო მოგება	889537	1779740
ხელფასის სახით განაცემი	-103482	-83788
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი (შენიშვნა 3.2)	-112623	-106188
საპროცენტო ხარჯი	-40438	-53319
საიჯარო ხარჯი	-17208	-7306
სხვა ხარჯი (შენიშვნა 3.4)	-1305255	-762876
სხვა საოპერაციო შემოსავალი	149213	361015
საოპერაციო მოგება	-540256	1127278
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	-540256	1127278
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	-540256	1127278

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	141208	1,119,904	1261112
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	0	1127279	1127279
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	16219	0	16219
ნაშთი 2023 წლის 1 იანვარს	124,989	2,247,183	2,372,172
ზრდა / წლის მთლიანი სრული შემოსავალი	651683	-540256	111427
შემცირება / გადახდილი დივიდენდი	0	0	0
ნაშთი 2024 წლის 1 იანვარს	776672	1706927	2483599

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

ფულადი სახსრების მოძრაობა

ფულადი სახსრების მოძრაობა	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	1071172	
მომწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1056339	
დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები	-81130	
გადასახადები (გადახდა -, დაბრუნება +)	-94044	
სხვა საოპერაციო ფულადი სახსრები	-15634	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-175975	143048
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა და გაუმჯობესება	-69034	
ფულადი ნაკადების გასვლა ინვესტიციებში	-916639	
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	-985673	-205966
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის შევსება (შემცირება)	610930	
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან	582704	
სესხის ძირის გადახდა	0	
სესხის პროცენტის გადახდა	-40438	
დივიდენდების გადახდა	0	
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	1153196	71879
სულ ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	-8452	8961
ვალუტის კურსის ცვლილების გავლენა	-412	-1115
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	12204	4358
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	3340	12204

შპს აგრომაქს ბიფის დირექტორი



კონტანტინე კვერნაძე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანიის აღწერა

შპს „აგრომაქს ბიფ“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საიდენტიფიკაციო ნომრით 426524415.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს შერეული სოფლის მეურნეობა. იურიდიული მისამართია: საქართველო, გარდაბნის რაიონი, სოფელი სართიჭალა

კომპანიის დამფუძნებლები არიან ლაშა ჯინჭარაძე (პ/ნ 01006013089) 50% და კონსტანტინე კვერნაძე (პ/ნ 01024006055) 50%, ხოლო კომპანიის დირექტორია კონსტანტინე კვერნაძე (პ/ნ 01024006055).

შეფასების და წარდგენის ვალუტა

კომპანიის სამუშაო და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად ანგარიშგების თარიღისთვის.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა და ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს / IFRS for SME's) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სრული შემოსავლის, ფინანსური მდგომარეობის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებებს და ასევე განმარტებით შენიშვნებს სააღრიცხვო პოლიტიკისა და გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობებისა და დაშვებების ჩათვლით.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდით, თუ ქვემოთ მოცემულ სააღრიცხვო პოლიტიკაში სხვა რამ არ არის ნახსენები. ისტორიული

ღირებულება ზოგადად დაფუძნებულია აქტივების სანაცვლოდ გაცემული თანხის სამართლიან ღირებულებაზე.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იხვევება. მოგების გადასახადი ირიცხება გაცემულ დივიდენდებზე. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ), რომელიც უკავშირდება გაყიდვებს, გადასახდელია საგადასახადო ორგანოში, როდესაც მოხდება საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებზე გადახდილი დღგ ჩაითვლება გადასახდელ დღგ-სთან, როდესაც მოხდება კომპანიის მიერ ანგარიშ- ფაქტურის მიღება. საგადასახადო ორგანოსმიერ ნებადართულია რომ დღგ-ს ანგარიშსწორება განხორციელდეს ნეტო ბაზისზე. გაყიდვებზე და შესყიდვებზე დარიცხული დღგ ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილია ნეტო თანხით. როდესაც კომპანიის მიერ მოთხოვნებთან დაკავშირებით იქმნება გაუფასურების ანარიცხი, იგი მოიცავს მისაღები დღგ-ს თანხებსაც.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულის ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია

ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადინაკადების მიმდინარე შეფასებას.

მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, რომელშიც წარმოიშვა.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი მზადაა გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ამორტიზაციის ნორმებია:

წლიური ამორტიზაციის ნორმა

შენობები და ნაგებობები

20 წელი

მანქანა-დანადგარები

5-7 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

5-15 წელი

ოფისის აღჭურვილობა

5 წელი

სხვა ძირითადი საშუალებები

5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა და საჭიროების შემთხვევაში, მათი ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ (ა) მოსალოდნელია, რომ ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდში არამატერიალური აქტივები არ გააჩნია.

მარაგები

მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შემენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად არსებულ ცენტრალური გათბობისა და წყალგაყვანილობისთვის საჭირო მასალებსა და მოწყობილობებს. მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის კომპანია განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, კომპანია აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, კომპანია ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამონაგების აღიარება

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარესტორნე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის

ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

საწესდებო კაპიტალი და დივიდენდები

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვლდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 წლის საანგარიშო პერიოდში დაკავშირებულ მხარეებზე არ გაცემულა დივიდენდი და სახელფასო ანაზღაურება.

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მუხლების ანალიზი

3.1 ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შესახებ

დასახელება	01.01.2023	31.12.2023
პირუტყვის საკვები (სართიჭალა)	143935	242142
ნავთობპროდუქტები	2271	2528
დეკეული სახორცე	24277	0
მოზვერი სახორცე 1 - 2 წლამდე - სქესი სახარე	19714	0
სხვადასხვა სათესად	190197	244670

3.2 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული ძირითადი საშუალებები და დაგროვილი ცვეთა

დასახელება	01.01.2023			31.12.2023		
	ისტორიული ღირება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირება	ისტორიული ღირება	დაგროვილი ცვეთა	ნარჩენი ღირება
მიწის ნაკვეთები	314528		314528	314528	0	314528
შენობები	475897	132347	343550	475897	146608	329289
სხვა ძირითადი საშუალება-საძოვარის მასალა	67180	15013	52167	67180	16641	50539
სხვა ძირითადი საშუალება-სარწყავი სისტემა	254922	30698	224223	254922	47478	207444
სხვადასხვა ძირითადი საშუალებები	26955	7951	19004	26955	12311	14644
მანქანა-დანადგარები	453863	83522	370341	454846	137936	316910
ავეჯი და სხვა ინვენტარი	1056	502	554	1056	519	537
საგრანსპორტო საშუალებები	181654	92050	89603	350940	113213	237727
სულ ძირითადი საშუალებები	1776054	362084	1413970	1946323	474707	1471617

3.3 მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული შემოსავლის გაშიფვრა

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	
შემოსავალი რეალიზაციიდან - მზა ტანხორცი - შპს ბლაუენშტაინ საქართველო	140220
შემოსავალი რეალიზაციიდან - პირუტყვის საკვები	154331
შემოსავალი რეალიზაციიდან (ხორბლის ნამჯის პრესი-ხორბალი)	25496.7
	320048
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	
შემოსავალი რეალიზაციიდან - მსხვილფეხა პირუტყვის მოვლა	716280
შემოსავალი რეალიზაციიდან - იჯარა	22336.5
შემოსავალი რეალიზაციიდან - გრაქტორით გაწეული მომსახურება	43415.3
	782032

3.4 სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახული სხვა ხარჯების გამოფვრა

სხვადასხვა დამხმარე მასალების ჩამოწერის ხარჯი	53225
საგრანსპორტო საშუალების-ტექნიკის სათადარიგო ნაწილების ხარჯი	930
საწვავის ხარჯი	117984
მსხვილფეხა პირუტყვის საკვების ხარჯი	479438
მიმდინარე რემონტის ხარჯი	26658
საპენსიო ფონდის ხარჯი	2328
ფ.პ. მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი	89960
სამეურნეო საქონლის ხარჯი	241
სასოფლო სამეურნეო ტექნიკით გაწეული მომსახურება	32574
ელექტრო ენერგიის ხარჯი	526
შემოსავლების სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი-საბაჟო	821
კომუნიკაციის ხარჯი	3669
საკანცელარიო ხარჯი	212
აუდიტის მომსახურება	924
მცირე მეწარმის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯი	20900
სხვადასხვა ხარჯი	22587
სხვა საგადასახადო ხარჯი	3364
მიწის გადასახადის ხარჯი	1687
ა/მ მომსახურება რემონტი	38645
სასტუმროს ხარჯი	850
ირიგაციის ხარჯი	1243
სხვა საერთო ხარჯი	39799
საგრანსპორტო მომსახურების ხარჯი	58200
მძმე ტექნიკის მომსახურების ხარჯი	513
ბანკის მომსახურების საკომისიო	1250
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	425
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	305889
კონვერტაცია	412
ჯამი	1305255

შპს „აგრომაქს ბიფ“-ის დირექტორი



კონსტანტინე კვერნაძე